სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #9

ქ. თბილისი **2018 წლის 27 დეკემბერი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

1. აბესაძე ნინო 2. კაკულია ნაზირა 3. საბაური ლევანი. 4. ხოხობაია მერაბი 5. ბერაძე თამარი 6. არჩვაძე ნათელა 7. თუთბერიძე ბეჟანი 8. მაჭავარიანი ლია 9. გეგჭკორი არნოლდი 10. ჩხაიძე სიმონი 11. თუმანიშვილი გიორგი 12. ივანიძე მაია 13. გარიშვილი მარინა 14. ყალიჩავა კობა 15. ონიანი ირაკლი 16. ჯავახიშვილი არჩილი 17. მარგველაშვილი ვლადიმერი 18. ჩხაიძე ზურაბი 19. ხოდელი ნოდარი 20. ჩართოლანი ანა 21. გოგსაძე გიორგი 22. ჭალაგანიძე ნინო 23. დუნდუა სალომე 24. ბებერაშვილი ელენე 25. ჩიტაია დაჩი 26. ჟვანია ირინე 27. ჩახუნაშვილი ნინო 28. ცანავა ქეთევანი 29. ლორია კახაბერი 30. ზაქარიაძე ანასტასია 31. ბჟალავა ელისაბედი 32. ოთხმეზური გიორგი 33. ვარდოშვილი ეკა 34. თაბუაშვილი აპალონი 35. გაიპარაშვილი ზურაბი 36. ღარიბაშვილი ირაკლი 37. სუმბაძე ციური 38. ცქიტიშვილი თემური 39. იოსელიანი ხათუნა 40. კაკულია ეთერი 41. ხუციშვილი მარინე 42. ნემსაძე ადა 43. რუხაია მიხეილი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. შარვაშიძე გიორგი 2. ამირანაშვილი ავთანდილი 3. ანანიშვილი ნათელა 4. გონაშვილი ვასილი 5. გოცირიძე დავითი 6. ვაშაკიძე თამარი 7. ზაუტაშვილი მარინე 8. კვინიკაძე მურმანი 9. კუხიანიძე ალექსანდრე 10. კერესელიძე დავითი 11. ლობჟანიძე გია 12. მაისაშვილი ხათუნა 13. სილაგაძე ავთანდილი 14. ფერაძე გოჩა 15. ფურთუხია ომარი 16. ქურდაძე ირინე 17. ქურდაძე რამაზი 18. ყულიჯანაშვილი აკაკი 19. ცაგარელი ზურაბი 20. ხუსკივაძე მამუკა 21. წერეთელი მარი 22. ყარალაშვილი თამაზი 23. ხარშილაძე ირმა 24. შანიძე რევაზი (დანართი 2)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა შემდეგი დღის წესრიგი:

1. "სსიპ ივანე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის შექმნის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2011 წლის 10 ოქტომბრის #109/2011 დადგენილებაში

ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის #4/2015 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე აკადემიური საბჭოს 2018 წლის 3 დეკემბრის #233/2018 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)

2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში შესატანი ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი: ვლადიმერ მარგველაშვილი)
3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცება (მომხსენებელი: ნუნუ ოვსიანიკოვა)

დღის წერიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. მომხსენებელმა, იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა არჩილ კუკულავამ საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოადგინა “სსიპ ივანე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 10 ოქტომბრის #109/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის #4/2015 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე აკადემიური საბჭოს 2018 წლის 3 დეკემბრის #233/2018 დადგენილება. აღნიშნა, რომ ცვლილება ფორმალური ხასიათისაა და გამოწვეულია საფინანსო დეპარტამენტის მოსაზრებით, რომ ფორმულირება უნდა ჩამოყალიბდეს შედეგი სახით: „ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის ერთიანი სახაზინო ანგარიშით“.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს “სსიპ ივანე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო

ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 10 ოქტომბრის #109/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის #4/2015 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე აკადემიური საბჭოს 2018 წლის 3 დეკემბრის #233/2018 დადგენილება. (დანართი 3)

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, საბჭოს წინაშე წარმოადგინა თსუ წესდებაში განსახორციელებელი ცვლილებები. აღნიშნა, რომ ცვლილებები შემუშავებულია სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. დროებითი სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, სენატის წევრმა კახაბერ ლორიამ მიმოიხილა ის ცვლილებები, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი დოკუმენტი, კერძოდ, ის რომ ზუსტდება სამინისტროს სახელწოდება წესდების ტექსტში, გაიწერა რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის წესი და ის, რომ დეკანის მოადგილის თანამდებობის დაკავების უფლება ექნება უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირს, ასევე გასწორდა ტექნიკური უზუსტობები.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებები (დანართი 4)

3. უნივერსიტეტის კანცლერმა ნუნუ ოვსიანიკოვამ, წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოადგინა თსუ 2019 წლის ბიუჯეტი. აღინიშნა, რომ პროექტი განხილული და შეთანხმებულია ფაკულტეტებისა და ინსტიტუტების დონეზე. მასში გათვალისწინებულია უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის განხორციელებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის 2019 წლის პრიორიტეტული მიმართულებების სასწავლო სამეცნიერო პროცესის შეუფერხებელი

მიმდინარეობისა და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით, კულტურულ-სპორტულ აქტივობებში ჩართულობის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები: მოსალოდნელი ნაშთიდან, ეკონომიკური საქმიანობით მისაღები შემოსავლებიდან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან და საერთაშორისო გრანტებიდან განისაზღვრა.

ბიუჯეტთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციები დააფიქირეს და კითხვები დაუსვეს კანცლერს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: დაჩი ჩიტაიამ, არნოლდ გეგეჯკორმა, ბეჟან თუთბერიძემ, კახაბერ ლორიამ, მარინა გარიშვილმა, ხათუნა იოსელიანმა, ლევან საბაურმა, გიორგი ოთხმეზურმა, კითხვები ძირითადად შეეხებოდა უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაციის ოპტიმიზაციის, სახელმწიფო დაფინანსების მოზიდვის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსების, ზოგადად ბიუჯეტის უფრო დეტალურად, ფაკულტეტების მიხედვით გაწერილად წარმოდგენის აუცილებლობას.

დისკუსიაში მონაწილეობდნენ თსუ კანცლერის მოადგილე ლაშა საღინაძე და საფინანსო დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირაკლი საღარეიშვილი. თავისი აზრი წარმოდგენილ ბიუჯეტთან დაკავშირებით დააფიქსირა უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შერვაშიძემ, ისაუბრა მიწღეულ შედეგებზე და იმ გამოწვევებზე, რაც უნდა დაიძლიოს მომავალში.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

მომხრე: 43
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი (დანართი 5)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი	ვლადიმერ მარგველაშვილი
წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი	გიორგი ჩაკვეტაძე

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები
2018 წლის 27 დეკემბერი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

აბესაძე ნინო -

კაკულია ნაზირა -

საბაური ლევანი -

ხოხობაია მერაბი -

სტუდენტები:

სახვაძე საბა -

სიამაშვილი ირაკლი -

ბერაძე თამარი -

შვანგირაძე მათე -

ჯაფოშვილი გიორგი -

ლაშხი თამარი -

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

არჩვაძე ნათელა -

თუთბერიძე ბეჟანი -

მაჭავარიანი ლია -

გეგეჭკორი არნოლდი -

მუკბანიანი ომარი -

ჩხაიძე სიმონი -

სტუდენტები

ბილისეიშვილი გიორგი -

მუმლაძე ლაშა -

ონიანი ლუკა -

ტაბატაძე გიორგი -

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

თუმანიშვილი გიორგი -

ივანიძე მაია -

გარიშვილი მარინა -

ყალიჩავა კობა -

სტუდენტები:

კვირიკაშვილი ბახვა -

ონიანი ირაკლი -

თურმანიძე ლუკა -

ჯავახიშვილი არჩილი -

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

მარგველაშვილი ვლადიმერი -

ქიტუაშვილი თინა

ხოდელი ნოდარი -

ჩხაიძე ზურაბი -

სტუდენტები:

უმფრიანი ლერი -

ჩართოლანი ანა -

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

გოგსაძე გიორგი -

დუნდუა სალომე -

ჭალაგანიძე ნინო -

სტუდენტები:

ბებერაშვილი ელენე -

გაბაშვილი ალექსანდრე -

ჩიტაია დაჩი -

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ჟვანია ირინე -

ჩახუნაშვილი ნინო -

სტუდენტები

ცანავა ქეთევანი -

თოფურია სალომე -

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ლორია კახაბერი -

ზაქარიაძე ანასტასია -

ბახტაძე მიხეილი -

ბჟალავა ელისაბედი

ოთხმეზური გიორგი -

რუსეიშვილი მანანა -

ვარდოშვილი ეკა -

თაბუაშვილი აპალონი -

სტუდენტები

თვალაძე მარიამი -

ცოფურიშვილი ნიკოლოზი -

კეჟერაშვილი შოთა -

ხუციშვილი დინა -

ჯაგუნავა პავლიკა -

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

გაიპარაშვილი ზურაბი -

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი

ღარიბაშვილი ირაკლი -

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

სუმბაძე ციური -

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცელაძე გვანცა -

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი

წაქაძე სევერიანი -

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

ცქიტიშვილი თემური -

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

იოსელიანი ხათუნა -

ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი

ახალბედაშვილი ლალი -

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

კაკულია ეთერი -

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

ხუციშვილი მარინე -

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნემსაძე ადა -

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

რუხაია მიხეილი -

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია
2018 წლის 27 დეკემბერი

აკადემიური საბჭოს წევრები

1. გიორგი შარვაშიძე -
2. ავაზაშვილი ნიკოლოზ -
3. ამირანაშვილი ავთანდილ -
4. ანანიაშვილი ნათელა -
5. გამყრელიძე ერეკლე -
6. გონაშვილი ვასილ -
7. გოცირიძე დავით -
8. ვაშაკიძე თამარი -
9. ზაუტაშვილი მარინე -
10. იმნაძე პაატა -
11. კერესელიძე დავით -
12. კვინიკაძე მურმან -
13. კუხიანიძე ალექსანდრე -

14. ლობჟანიძე გია -

15. ლომიძე გაგა -

16. მაისაშვილი ხათუნა -

17. მესტვირიშვილი მაია -

18. მექვაბიშვილი ელგუჯა -

19. ოკრიბელაშვილი ნინო -

20. სანაძე რუსუდან -

21. სილაგაძე ავთანდილ -

22. ფერაძე გოჩა -

23. ფურთუხია ომარ -

24. ქიტიაშვილი ანასტასია -

25. ქურდაძე ირინე -

26. ქურდაძე რამაზ -

27. ღვედაშვილი გიორგი -

28. ყარალაშვილი თამაზ -

29. ყულიჯანიშვილი აკაკი -

30. შავლაყაძე ნუგზარ -

31. შანიძე რევაზი -

32. შენგელია თემური -

33. ცაგარელი ზურაბ -

34. ცინცაძე ნოდარ -

35. წერეთელი მარი -

36. ხარშილაძე ირმა -

37. ხუსკივაძე მამუკა -

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №9,
დანართი 3

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 233/2018 3 დეკემბერი 2018 წ.

"სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის შექმნის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2011 წლის 10 ოქტომბრის №109/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის №4/2015 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის 2018 წლის 8 ნოემბრის №23355/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 3 დეკემბრის №26 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული

ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 10 ოქტომბრის №109/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის №4/2015 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის ერთიანი სახაზინო ანგარიშით.“.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის
ბრძანება №
წლის ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 11/09/2013, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.016655) და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესდების:

1. პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. უნივერსიტეტში სწავლების ენა არის ქართული (სხვა ენაზე სწავლება, გარდა ინდივიდუალური სასწავლო კურსებისა, დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან).“.

2. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. უნივერსიტეტის სტატუსი და სახელმწიფო კონტროლი

უნივერსიტეტი დაფუძნებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით, რომლის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს, ამ

წესდებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.“.

3. მე-8 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით ამტკიცებს სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტებს სამაგისტრო გამოცდებისთვის, აგრეთვე ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;“;

ბ) „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) აწესებს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დამტკიცებული საერთაშორისო გამოცდების ჩამონათვალით გათვალისწინებულ გამოცდაში ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;“.

4. მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 10. წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

1. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა წარმომადგენლობითი საბჭო, რომელიც აირჩევა უნივერსიტეტის ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე სტუდენტებისა და აკადემიურ პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის მომენტში ფაკულტეტებზე მათი რაოდენობის პროპორციულად. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში საბჭოს წევრის სტატუსით შედის უნივერსიტეტის თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის მიერ არჩეული 1 წარმომადგენელი.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევა ხდება 4 წლის ვადით, საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს შემადგენლობის არანაკლებ ორმაგი ოდენობით. სტუდენტები შეადგენენ წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედს. ასისტენტი არჩევნებში მონაწილეობს, როგორც სტუდენტი. სტუდენტთა რაოდენობის დასადგენად დამრგვალება ხორციელდება სტუდენტთა სასარგებლოდ.

4. წარმომადგენლობით საბჭოში შედის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი და უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი;

4[1] . წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა რაოდენობის შეცვლის გადაწყვეტილებას იღებს თავად წარმომადგენლობითი საბჭო კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები აირჩევიან მოქმედი წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

5. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია უნივერსიტეტთან მათი, შესაბამისად, აკადემიური ან/და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.

6. სტუდენტისა და პროფესორისათვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია ამ უნივერსიტეტთან მათი, შესაბამისად, აკადემიური ან/და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.

7. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში არჩევნები ტარდება შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად იმავე ვადით.

8. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრები.“.

5. მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შეიმუშავებს და აკადემიური საბჭოს მონაწილეობით განიხილავს უნივერსიტეტის წესდების, წესდების ცვლილებების პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს;“.

6. მე-14 მუხლის მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე რექტორის ვერარჩევის შემთხვევაში აკადემიური საბჭო 14 დღის ვადაში, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს არაუმეტეს 6 თვის ვადით. ერთი და იგივე პირი რექტორის მოვალეობის შემსრულებლად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ.“.

7. მე-20 მუხლის „ვ[2]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ[2]) მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის შეიმუშავებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩატარების წესს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად;“.

8. 21-ე მუხლის „4[1]“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4[1]. ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თანამდებობის დაკავების უფლება აქვს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირს.

9. 47-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უფლებამოსილია მოსთხოვოს უნივერსიტეტს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო ნებისმიერი მასალისა და ინფორმაციის წარმოდგენა.“.

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანხმობით, უნივერსიტეტს შეუძლია განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) (ამოღებულია - 15.09.2014, №122/ნ);

ე) სხვა გადაწყვეტილებები უნივერსიტეტის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.“.

გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უარი ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ქმედებების განხორციელებაზე უნდა იყოს დასაბუთებული. უარი შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში ან/და სასამართლოში.“.

დ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. უნივერსიტეტის უძრავი ქონების ან მისი ნაწილის შეძენა, გასხვისება ან იჯარით გაცემა შეიძლება მხოლოდ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

ე) მე-5[1] პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5[1]. უნივერსიტეტის მოძრავ ქონებასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება, თუ იგი სცილდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებს, შეიძლება მხოლოდ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

10. 48-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 48. უნივერსიტეტის ბალანსის შედგენა და შემოწმება

უნივერსიტეტი ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს. უნივერსიტეტის წლიურ

ბალანსს ამოწმებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი.“.

11. 49-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უნივერსიტეტის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ახორციელებს საქართველოს მთავრობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარდგინებით.“.

12. 50-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. წესდებაში ცვლილების პროექტს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მონაწილეობით შეიმუშავებს და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობითი საბჭო.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მენციერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრი **მიხეილ ბატიაშვილი**

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი

დასახელება	ლარი
● ნაშთი	**9372 040**
მათ შორის: ნაშთი (სწავლის ქირის, სასწავლო გრანტის, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსების და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობიდან)	2500 000
მათ შორის: ნაშთი (საგანმანათლებლო, სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის)	1500 000
მათ შორის: ნაშთი (ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების)	4347 670
მათ შორის: ნაშთი (საერთაშორისო გრანტების)	1024 370
● შემოსავლები	71446 360
მათ შორის: ეკონომიკური საქმიანობიდან (სწავლის ქირა, სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობიდან)	50130 700
მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან (სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა)	13947 700
მათ შორის : სახელმწიფო ბიუჯეტიდან–საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.	500 000
მათ შორის :სახელმწიფო ბიუჯეტიდან -სახელმწიფო სტიპენდია	960 000
მათ შორის:ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებიდან	4432 330
მათ შორის:საერთაშორისო გრანტებიდან	1475 630
სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით	**80818 400**
გადასახდელები (ნაერთი)	
სულ ასიგნება	**80818 400**
I ხარჯები	**75397 800**
● შრომის ანაზღაურება	**36383 584**
● საქონელი და მომსახურება	**27347 066**
● სუბსიდიები	**1300 000**
● გრანტები	**135 000**
●სოციალური უზრუნველყოფა	**70 000**
● სხვა ხარჯები	**10162 150**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**5420 600**
მათ შორის: სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში,სწავლის საფასურისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	**52630 700**
I ხარჯები	**52246 700**
● შრომის ანაზღაურება	**27203 584**
● საქონელი და მომსახურება	**20588 866**
●გრანტები	**70 000**
●სოციალური უზრუნველყოფა	**70 000**
● სხვა ხარჯები	**4314 250**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**384 000**

მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ,,სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის'' ფარგლებში, შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	**13947 700**
I ხარჯები	**12341 100**
● შრომის ანაზღაურება	**9180 000**
● საქონელი და მომსახურება	**3108 200**
●გრანტები	**15 000**
● სხვა ხარჯები	**37 900**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**1606 600**
მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს''ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	**960 000**
I ხარჯები	**960 000**
● სხვა ხარჯები	**960 000**
მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივი დაფინანსება-,, ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის'' ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება (II)	**2000 000**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**2000 000**
მათ შორის: ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	**8780 000**
I ხარჯები	**8150 000**
● საქონელი და მომსახურება	**3650 000**
● სხვა ხარჯები	**4500 000**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**630 000**
მათ შორის: საერთაშორისო გრანტების ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება (I+II)	**2500 000**
I ხარჯები	**1700 000**
● სუბსიდიები	**1300 000**
● გრანტები	**50 000**
● სხვა ხარჯები	**350 000**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**800 000**